

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სოფელ ასკანის მაჟორიტარი დეპუტატის ლევან ნინიძის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

## ანგარიში

წინამდებარე ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2017 წლის 27 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ვეყრდნობოდი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით საკრებულოს წევრისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წარდგინებით მივიღე მონაწილეობა სოფელ ასკანაში და გავხდი საკრებულოს წევრი.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვანხორციელებდი საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიებში. 1. განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა და სამანდატო საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის. ამავდროულად ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი.

სულ საანგარიშო პერიოდში მივიღე მონაწილეობა საკრებულოს როგორც რიგით ასევე რიგგარეშე სხდომებში 19-ჯერ, დავესწარი კომისიების სხდომებს 61-ჯერ და ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ 11 სხდომას.

მონაწილეობა მივიღე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში, სულ 7 შეხვედრაში.

როგორც საკრებულოს წევრს შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე გასვლითი სულ: 37 - მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს, სოფლის ინფრასტრუქტურულ პროექტებს. შეხვედრების დროს დაყენებული საკითხების უმეტესობა გადაწყდა,

მინდა მოგახსენოთ 2018 წელს სოფელში გაწეული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ

სოფელში დაიგო ბეტონის საფარით შიდა საავტომობილო გზა 250 მეტრი, უბნებში გაკეთდა გრუნტის საფარი 1000 მ. სამ ოჯახს გადაეცა სახლის გადასახური მასალა (თუნუქი და ხეობა), გადაიხურა მზიანის კლუბის შენობა. სოციალური დახმარება გაეწია ორმოცდაათ ადამიანს.

ხოლო ეხლა მინდა გაგაცნოთ სოფელში 2019 წელს დაგეგმილი სამუშაოების შესახებ.

სოფელში დაიწყება მთავარი გზის გარეგანათების მოწყობა, შიდა სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდება მზიანის კლუბის შენობას, მოიხრეშება შიდა საავტომობილო გზა 2000 მეტრი, მეწყერ საშიშ ადგილებზე დაგეგმილია გაბიონების გაკეთება და სხვა გარკვი პროექტები რომელიც განსაზღვრულია 2019 წლის ბიუჯეტში.

როგორც საკრებულოს წევრი აქტიურად ვმონაწილეობდი საკრებულოს მიერ სამართლებრივ აქტების მიღება დამტკიცებაში. კერძოდ: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019-2020 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემის და მიღების წესის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და დაჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის კორექტირებასა და დაზუსტების, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის, კურორტ გომისძეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის დასამტკიცებლად დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავებაში განხილვა დამტკიცებებში. და სხვა საკრებულოს მისაღები საკითხებსი, რომელიც აისახება ჩემს მიერ საკრებულოს და კომისიის სხდომებზე დასწრებით.

აქტიურად ვიყავი ჩართული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობა ჩატარებაში.

მე როგორც საკრებულოს წევრი გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატთან, საკრებულოსთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და სოფლის ამომრჩევლებთან. რათა 2019 წელი უფრო წარმატებული გახდეს სოფლისთვის.

და ბოლოს მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს მთლიან შემადგენლობას, მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს აპარატს თანამშრომლობისათვის

**საკრებულოს წევრი სოფელ ასკანის**

**მაჟორიტარი დეპუტატი ლევან ნინიძე**

**25.02.2019 წ**